პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 აპრილი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 87 (14691)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეთა საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, გაიმართება ქალაქ თბილისში 1970 წლის 16 აპრილს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების, წევრობის კანდიდატების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია, აგრეთვე ცნობების გაცემა იწყობოდეს 15 აპრილს 9 საათიდან 20 საათამდე და 16 აპრილს 9 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (ოთახები 1,4, ტელეფონები 99-08-59, 99-58-19).

ყურადღება:

სკოლა შენდება!

ბევრ უფრო ვუახლოვდებით დიად თარიღს, უფრო გამოკვეთილად დგება თვითეული კოლექტივის, კომუნიზმის მშენებელი თვითეული საბჭოთა ადამიანის წინაშე კითხვა: — რით ხვდები ლენინურ იუბილეს? სოფლად თუ ქალაქად, საწარმოებსა და მშენებლობებზე თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, — უველგან იგრძნობა საიუბილეო შრომითი აღმავლობა, შემოქმედებითი სწრაფვა.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი აღინიშნებიან ღირსსახსოვარი ჯილდოებით. საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ის კოლექტივები, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჯილდოვდებიან ლენინის საიუბილეო სამატეო ხიგელებით. პრესაში უკვე გამოჩნდნენ პირველი ბედნიერი სახელები — პირველი შრომითი კოლექტივები ჩვენი რესპუბლიკისა, ესოდენ მაღალი ენთუზიაზმით "რომ ემზადება დიდი თარიღისათვის. ამ სახელებს, ამ კოლექტივებს შორის ცოტას როდი ვხედავთ ისეთებსაც, ჩვენი ახალგაზრდობის, ჩვენი ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდასთან პირდაპირი დამოკიდებულება რომ აქვთ.

სასიხარულოა, რომ პირველ დაჯილდოებულთა შორის ვხვდებით თბილისის ვ. ი. კომაროვის სახელობის ფიზიკურ-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის სახელს; ნიაში ვხვდებით ამ კოლექტივების სახელებსაც, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში უშუალო და ხასხასოვრცეული კავშირი აქვთ ჩვენს სკოლასთან, სახალხო განათლების ბალალ ინტერესებთან. ესენი არიან მშენებელთა კოლექტივები. მათ საერთო სახელოვან საქმეებში, რასთვისაც დაჯილდოებულ იქნენ, მცირე ხვედრითი წონა როდი აქვს იმ შრომას, რაც გაუწევიათ სასკოლო მშენებლობის დიდ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფრონტზე.

თბილისის სამშენებლო მასალათა კომბინატს, მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს, № 3 ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, № 1 ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონის, № 3 ტრესტის № 21 მოძრავი მექანიზებული კოლონის, სამტრედიისა და ახმეტის ბისდამშუშავებელი კომბინატების თუ სხვა კოლექტივებს ამ ღირსეულ საიუბილეო ჯილდოს რომ მივულოცავთ, ვუსურვებთ ნორჩი თაობის აღზრდის ინტერესებისათვის უფრო მეტი გაეკეთებინოთ სასკოლო მშენებლობის ფრონტზეც.

ახლახან საბჭოთა ქვეყანამ აღნიშნა ოთხმოცდაათი წლისთავი იმ დღიდან, რაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს დეკრეტს რუსეთის სფსრ მოსახლეობაში უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შესახებ. წინათ „ცაცბრირობის გონება, მთელი მისი გენია, — ამბობდა მაშინ ლენინი, — ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ მიეღო ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე, ზოგს კი ბოძკელობდა ყველაზე საჭირო რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის მთელი სასწაული, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საყოველთაო-სახალხო კუთვნილება და ამიერიდან ადამიანის გონება და გენია აღარ იქნება ძალადობის საშუალება, ექსპლოატაციის საშუალება".

თუ როგორ შეესახა ხორცი ლენინის ამ წინასწარდასახულებას, ნათლად ჩანს იმ დიადი მაგალითებთან, რომ ჩვენში ყველა ბავშვი სწავლობს, საბჭოთა ქვეყნის დაახლოებით 80 მილიონი მცხოვრები სწავლობს, სწავლება მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა 57 ენაზე.

საქართველოს სახალხო განათლების დონითა და ქსელის სიფართოვით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში, მან უკან მოიტოვა ამ მხრივ მრავალი განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო. ახლა ჩვენი უმთავრესი ხაზგასმაა 1970 წლისათვის ძირითადად დავამთავროთ ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, რის საფუძველსაც, უპირველეს ყოვლისა, მტკიცე მატერიალური ბაზა წარმოადგენს.

საქართველოში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე უმაგალითოდ გაიზარდა სასკოლო ქსელი. უამისოდ შეუძლებელი იყო 1969-1970 სასწავლო წელს, შარშანდელთან შედარებით I-X კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის 45.648 მოსწავლით გაზრდა, მარტო 1969 წელს დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 64 ახალი სასკოლო შენობა 22 ათასი მოსწავლის ადგილით, 28 ბაგა-ბაღი 5.120 ბავშვისათვის, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, სასკოლო ინტერნატების შენობები, სოფლის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები...

მარტო ჩვენი დედაქალაქის მაგალითი რამდენის მოქმედია! თუ 1940 წელს თბილისში იყო 229 სკოლა და სბავშვო ბაღი, დღეისათვის აქ 345 სკოლა და ბაღი გვაქვს. შესაბამისად, განათლებაზე ასიგნობანი 5 მილიონიდან 31 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. მარტო შარშანდელ 10 წელიწადში თბილისში აშენდა 44 სასკოლო შენობა, შეიქმნა 29 ახალი სკოლა, რამაც საშუალება მოგვცა მოსწავლეთა რიცხვი 55 ათასით გაზრდილიყო, ათობით სკოლას მიუშენდა ახალი ფართობი.

ახლა ყოველივე ეს მხოლოდ ბრძას შეუძლია არ დაინახოს!

სულ სხვა საქმეა, რომ, მიუხედავად ამისა, გულდაშვიდების საბაბი არა გვაქვს, მუდამ გვმართებს შეუნელებელი ბრძოლა იმისათვის, რომ სასკოლო მშენებლობა მხარს უჭერდეს დროის მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ჩვენი კორესპონდენტის საუბარში, დღეს ჩვენს გაზეთში რომ ვხვდებავთ, უფრო ფართოდაა მოცემული სასკოლო მშენებლობის სურათი რესპუბლიკაში. კერძოდ, თუ რა ფართო გაქანება მიიღო მშენებლობამ, როგორ ვიზარდეთ. ამასთან მოცემულია მუშაობის პერსპექტივები.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს მართებთ მუდამ ეხმარებოდნენ და ქმედითად წარმართავდნენ მშენებელთა საქმიანობას. მეტი ორგანიზებულობა და ოპერატიულობა უნდა იყოს სამშენებლო ობიექტებზე. ფართო გასაქანი უნდა მიეცეს საინიციატივო მშენებლობას. ამას გვაფალებს პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვა ყველა იმათთვის, ვინც თავი გამოიჩინა სასკოლო მშენებლობაში. მაგალითად, საუკეთესო მშენებლებისათვის, სასკოლო მშენებლობაში, დაწინაურებული რაიონებისა და ქალაქებისათვის დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მისი მფლობელნი ამჟამად გახდნენ ქალაქი თბილისი და გორის რაიონი; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების მუშაოთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭათ ქალაქ ჭიათურას, ქობულეთისა და ლაგოდეხის რაიონებს, დროშა შეინარჩუნა ზუგდიდის რაიონმა, ფართოდ უნდა გავრცელდეს საინიციატივო მშენებლობის საქმეში დამკვიდრებული ტრადიციები.

საერთოდ, საგრძნობია წინსვლა, რაც რესპუბლიკაში გვაქვს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლის კანონის განხორციელების საქმეში. მოსწავლეთა ხულ უფრო მეტი რაოდენობა განაგრძობს სწავლას რვა კლასის დამთავრების შემდეგ. მაგრამ ჩამორჩენას ზოგიერთ რაიონში თავს მაინც ვერ აღწევენ. პირველ კლასში მიღებულთა შედარებით მცირე პროცენტი ამთავრებს რვა კლასს ყაზბეგის, დმანისის, მარნეულის, წითელწყაროს რაიონებში.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდგომ დადგენილებებში მოცემულია საბჭოთა სკოლის მუშაობის კიდევ უფრო ხრულყოფის გზები. ამის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სასკოლო მშენებლობა. ამ საქმეში რესპუბლიკის მშენებლებს თვალსაჩინო წარმატებები აქვთ და, ეჭვი არ არის, ისინი წელსაც გაიხარებენ სამშობლოს.

დაე ეს საიუბილეო წელი ჩვენი სკოლების ცხოვრებაში, კერძოდ, ჩვენს სასკოლო მშენებლობაში ახალ წარმატებათა წელი იყოს!

ეს დღეები სოფლად

ბაზაფხულია. ამწვანდა მინდვრები, აყვავდა ხეხილი. ვარდისფრად შემოსილან ატმის ხეები, თეთრი ყვავილებით დაფარა მსხლები, აყვავება იწყეს ვაშლის ხეებმა. უველგან გაზაფხულის სურნელება იგრძნობა. გზატკეცილების გაყოლებით გუგუნებენ ტრაქტორები. თესავენ სიმინდს. სატვირთო მანქანებს მიაქვთ ნერგები.

საგაზაფხულო თესვას მზად შეეგებნენ გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეები. აქ ყველა სამუშაო აგრონომიული ვადების მიხედვით სრულდება. დამთავრდა პურეული კულტურების, ჭარხლის თესვა. და აი მინდვრებში გამოჩნდნენ სიმინდის სათესებიანი ტრაქტორები. ამ კულტურას მეურნეობაში დათმობილი აქვს 80 ჰექტარი.

ერთ-ერთი პირველნი შეუდგნენ თესვას ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ვ. გოგშელიძე და ვ. ფინდიშვილი.

სურათზე: მეორე ბრიგადაში სიმინდს თესავს ტრაქტორისტი გ. მეტრეველი. მარჯვნივ — კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი გ. უთნელიშვილი და ბრიგადირი ვ. ფინდიშვილი.

ტექსტი და ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

დათესილია 69.592 ჰექტარი

ფართოდ გაჩაღდა საგაზაფხულო კულტურების თესვა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში დათესილია 69.592 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან კოლმეურნეობებში — 45.639 ჰექტარი. ითესება მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები.

საგაზაფხულო კულტურები ყველაზე მეტი დათესილი აქვს წითელწყაროს რაიონს — 13.151 ჰექტარი. სიღნაღის რაიონში დათესილია 7.001 ჰექტარი, გარდაბნის — 4.373 ჰექტარი, საგარეჯოს 4.103 ჰექტარი, წალკის — 4.982 ჰექტარი. თესვის ტემპი დღითიდღე ძლიერდება ქარელის, ხაშურის, ახალციხის, გორის, კასპის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ოურჯოლის და სხვა რაიონებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

თითქმის ყველა რაიონში შეუდგნენ სიმინდის თესვას. უკვე დათესილია 9.712 ჰექტარი. სიმინდის თესვაში წინ არიან წითელწყაროსა და თეძოლოს რაიონები. რესპუბლიკაში სულ დათესილია 8.021 ჰექტარი ბოსტნეული კულტურები.

ლენინური ვაჩუქზე

800 ჩქაროსნული ნაღნობი

რუსთავი. (საკ. კორ.). მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მეფოლადეებმა. მათ ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღის, 22 აპრილისათვის გაენეორციელებინათ 800 ჩქაროსნული ნადნობი.

გუშინწინ აქ უკვე რვაასმეერთე ჩქაროსნული ნადნობი გამოუშვეს და ხამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით ტონა ფოლადი.

ფოლადის ჩქაროსნული წესით დნობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წარმოების ნოვატორებმა, ცნობილმა მემარტენეებმა ა. ფანცულაიამ, გ. ბერეკაშვილმა, ი. ქოქიაშვილმა, გ. სებისკვერაძემ, მ. სანდერაშვილმა, ი. ტაბატაძემ.

საწარმომ სახელი შეიცვალა

თბილისი. („კომუნისტის" კორ.). დიდუბის შუალედურ-ცხმა საწარმომ. — ორთოქლმავალ - ვაგონთმშენებელ ქარხანამ (დირექტორი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ა. მასხარაშვილი) სახელი შეიცვალა. ამჟამრიდან თბილისის ელექტროვაგონთმშენებელ ქარხანად იწოდება. ეს შემთხვევითი ფაქტი როდია. იგი ქარხნის პროფილის მთლიანად შეცვლამ განაპირობა. როგორც ცნობილია, წელს საწარმოს საამქროები დატოვა უკანასკნელმა ორთქლმავალმა, ოდესღაც პროგრესული წესის ამ ძალას აქ უკვე ალარ შეაკეთებენ.

ორთქლმავლების ნაცვლად საწარმოში „განიკურნება" სხვადასხვა მოტორვაგონიანი სექციების, ელმავლების წევის ძრავები, დამხმარე მანქანები, სამგზავრო ვაგონები. ამ ახალი პროდუქციის გამოშვება ქარხნის კოლექტივის თავდადებულ შრომას მოითხოვს.

ქარხნის კოლექტივი, შეიძლება ითქვას, ამჟამად ორ ფრონტზე შრომობს, სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან ერთად წარმატებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების დავალებებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალი აქ მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს. გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 71 ათასი მანეთის პროდუქცია.

1971 წლის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს მარგანეტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ჭიათურაში პირველმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა, საშობლოს მისცა ორ მილიონ მანეთზე მეტი მოგება. კალინინელებმა ხუთწლედის დაწყებიდან ქვეყანას მიუცეს 597 ათასი ტონა მარგანეცი და ახლა პროდუქციას 1971 წლის მაისის ანგარიშში იძლევიან.

მაღაროს კოლექტივი მომჭირნეობა-ყარაფიანობით გამოირჩევა. აქ დაზოგეს დიდძალი სამაგრი ხე-ტყე, დამხმარე მასალები, ელექტროენერგია, დასახეს ახალი ღონისძიებები წარმოების ეფექტიანობისა და მომჭირნეობისათვის.

ვალდებულება შეასრულეს

ჭუთაისი. (საკ. კორ.). ჭუთაისს რკინიგზის სადგურის კოლექტივმა დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — ვადამდე, 20 მარტისათვის შეასრულა დატვირთვისა და დაცლის პირველი კვარტლის დავალება.

ნაკისრი ვალდებულების მიხედვით რკინიგზელებს ვაგონების მოცდენა ნორმასთან შედარებით 40 წუთით უნდა შეემცირებინათ, განვლილ პერიოდში კი საათნახევრით შეამცირეს, რითაც 27 ათასი მანეთი დაზოგეს. შემჭიდროებული დატვირთვის პროგრესული მეთოდის გამოყენებით ოთხ თვეში 250, ხოლო წლის მანძილზე 800 ვაგონი უნდა გაეთავისუფლებინათ. სინამდვილეში კი უკვე სამ თვეში დამატებითი ტვირთზიდვისათვის განთავისუფლებულია 1.490 ვაგონი.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხარკოვში გაემგზავრა

12 აპრილს მოსკოვიდან ხარკოვში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რათა მთავრობის ჯილდოები გადასცეს ხარკოვის ოლქსა და ხარკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივს.

• • •

იმავე დღეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხარკოვში ჩავიდა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოსი-332"

1970 წლის 11 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-332". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა 1962 წლის 16 მარტს გამოაცხადა.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საჩუქარი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ეკსპოზიციას შეემატა ილიჩისადმი მიძღვნილი ორი სურათი. მათი ავტორია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი გრაფიკოსი და ფერმწერი ოტო ნაგელი. სურათები გამოგზავნა მხატვრის ქვრივმა ვალენტინა ნაგელმა.

ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში ინახება გერმანელი ოსტატის ბევრი ნამუშევარი. ოტო ნაგელი საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1924 წელს ყოფილა. შაშინ მან მოსკოვში მოაწყო დასავლეთის პროგრესული მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. ნაგელს დიდად აინტერესებდა საბჭოეთის ცხოვრება, ხატავდა კრემლსა და ზოილ მოედანს, ლენინგრადისა და სარატოვის ხადღესასწაულო ქუჩებს, დახატა საბჭოთა ადამიანების პორტრეტების სერია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ხელმძღვანელობდა ბერლინის ხელოვნების აკადემიას, იყო სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი. (საკდესის კორ.).

ლენინური „ისკრის" მუზეუმი

შანი (ჩერკასკის ოლქი) 13 აპრილი (საკდესის კორ.). დღეს უკრაინის უძველეს ქალაქ უშანში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლენინური გაზეთ „ისკრის" მუზეუმი. იგი იბეჭდებოდა ინტაკვევნა სტამბაში, რომელიც ბოლშევიკებმა მოაწყვეს იმ ქუჩაზე მდებარე სახლში, რომელიც ამჟამად ლენინური „ისკრის" სახელს ატარებს.

მუზეუმში თავმოყრილია მრავალრიცხოვანი მასალები უშანის სტამბის ისტორიის შესახებ.

1903 წლის აპრილში „ისკრის" აგენტებმა პ. გ. სმიდოვიჩმა და ვიხმე მაქსიმემ უშანში საზეიმოდ სახელოსნოს სახით მოაწყვეს ირალეგალური სტამბა—ერთი იმ ოთხთავიანი, რომელიც რუსეთში შეიქმნა ლენინური გაზეთის გადასაბეჭდად. აქ იმავე წლის ივლის-აგვისტოში გადაბეჭდა საზღვარგარეთიდან მოტანილი „ისკრის" ნომრები 41 და 43.

ტირაჟი — თვითეული ნომრის სამი ათასი ეგზემპლარი — გაიგზავნა მოსკოვში, ნიჟნი ნოვგოროდში, სეგასტოპოლში, კიევში, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში.

მუზეუმში ნაჩვენებია სტამბის საბეჭდი დაზგის მაკეტი, წარმოდგენილია იმ გაზეთების ნომრების ფოტოპირები, რომლებიც ამ დაზგაზე იბეჭდებოდა, პ. გ. სმიდოვიჩის წერილების პირები ნ. კ. კრუპსკაიასადმი, რომლებშიც ლაპარაკია სტამბის მუშაობაზე. აქვეა წარმოდგენილი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის პასუხი, საიდანაც ჩანს, რომ ვ. ი. ლენინმა მიიღო უშანის სტამბაში გადაბეჭდილი გაზეთი და კმაყოფილი იყო სტამბის მუშაობით.

სტენდებზე წარმოდგენილია აქტიური ისკრელთა პორტრეტები, ამ გაზეთში გამოქვეყნებული ლენინის სტატიები, რუსეთში გაზეთის გავრცელების მარშრუტები.

კიდევ ერთი „ურალი"

ურალის ავტომქარხნის მთავარი კონვეიერიდან გადმოვიდა „ურალ-375ეუ" ტიპის სატვირთო მანქანების პირველი პარტია. ახალი ავტომობილი გთვალისწინებულია ტროპიკული კლიმატის რაიონებში მუშაობისათვის. მანქანის ტვირთამწეობა ხუთი ტონაა. უგზო და ქვიშიან ადგილებში იგი ადვილად აიყვანს ბუქსირზე 10 ტონიან მისაბმელს. ძრავის სიმძლავრე 180 ცხენის ძალას უდრის.

ამ სატვირთო ავტომობილებას სხვა უპირატესობანიც აქვს. იგი შესანიშნავად დადის ზლამბებზე, დაჭაობებულ ადგილებსა და უდაბნოში, კაბინაში სიცხეშიც კი ყოველთვის ნორმალური ტემპერატურაა. ომსკელმა მესლეტეებმა ტროპიკების ყველა პირობებს შეუხამეს ყველა ტექნიკური რეზინის ნაწარმი და სალტე. (საკდესის კორ.).

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში

საბრძოლო და ოპერატიული მომზადების გეგმის შესაბამისად ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში ა. წ. აპრილ-მაისში მოეწყობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მანევრები პირობითი სახელწოდებით „ოკეანე".

მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა კლასის წყალქვეშა და წყალზედა ხომალდები, საზღვაო ავიაცია და საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები.

მანევრები ეწყობა ფლოტის ძალების საბრძოლო გაწვრთნილობისა და შტაბების ოპერატიული მომზადების დონის შემოწმებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ეკონომიური აბრეგატი

ლენინგრადის მანქანათმშენებლები შეუდგნენ კაფსულიანი ენერგეტიკული აგრეგატების სერიულ წარმოებას. მათი კონსტრუქცია მაღალი ეკონომიურობით გამოირჩევა. აგრეგატები იდგმება უშუალოდ კამხალში, მათთვის არ არის საჭირო სამმანქანო დარბაზის შენობა. ამის შედეგად ელექტროსადგურთა მშენებლობის ხარჯები 15-20 პროცენტით მცირდება.

სკკპ 22-ე ყრილობის სახელობის ლითონის ქარხანაში და გაერთიანება „ელექტროსილაში" დაამზადეს ექვს ასეთ კაფსულს, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 22 ათას კილოვატს შეადგენს. ეს კაფსულები განკუთვნილია ჰიდროსადგურებისათვის, რომლებიც შენდება მდინარე ენგურზე საქართველოში.

(საკდესის კორ.).

საგზაფხულის ფოლადის ნაკადი

ქალაქ ყაზი — მაჰომედის რაიონში (აზერბაიჯანი) დაიწყო ყარადაღ-თბილისი-ერევნის მილსადენის მეორე ხაზის მშენებლობა. გადაწყვეტილია თებერვლის 2,5-ჯერ გადიდოს ამ მაგისტრალის გამტარუნარიანობა იმასთან დაკავშირებთ, რომ წელს შემოდგომაზე დამთავრდება ირანის გაზის გამოყვანა საბჭოთა კავშირში. ყაზიმაჰომედთან ირან-სსრ კავშირის გაზსადენი შეუერთდება ყარადაღ-თბილისი-ერევნის ტრასას, რომლითაც ირანის ყუმის საბადოს სითბობი წამოვა საქართველოსა და სომხეთში.

ელექტროშედუღების ნათურებით აღჭურვილია ამჟამად ირან-სსრ კავშირის გაზსადენის საბჭოთა ნაწილის 220 კილომეტრიანი ტრასა. ტრანშეებში უკვე დაგებულია მილების შესამედი, მათ შორის 1.220 მილიმეტრ დიამეტრიანი მილები.

ირან-სსრ კავშირის გაზსადენით საბჭოთა კავშირი ყოველთვიურად მიიღებს 10 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს.

რაულ კასტრო რუსი საქართველოში

კუბრას, 12 აპრილს, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი მაიორი რაულ კასტრო რუსი ეწვია თბილისს 26 ბაკოელ კომისრის სახელობის წითელდროშოვან უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელს. მასთან ერთად აქ მოვიდნენ კუბის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რაულ გარსია-პელაეზი, საელჩოს სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშე მაიორი ნ. ფერნანდეს სუარესი.

რაულ კასტრო რუსთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. ლ. სოკოლოვი და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ - პოლკოვნიკი ს. კ. კურკოტკინი.

მოგზაურნი აღმართულია კუბის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები. ჩამწკრივებულია საპატიო ყაროული. საზეიმო ცერემონიის შემდეგ მაიორმა რაულ კასტრო რუსმა და სხვა კუბელმა ამხანაგებმა სასწავლებლის უფროსის პოლკოვნიკ ვ. ი. ბაეკასა და პოლიტგანყოფილების უფროსის პოლკოვნიკ გ. ბ. ყუფუნიას თანხლებით დათვალიერეს ბატარეის საცხოვრებელი შენობა, იყვნენ სროლის, ცეცხლის მართვის, ტაქტიკის, მატერიალური ნაწილებისა და სხვა კლასებში.

კლუბში სტუმრებს ეჩვენეს გამოფენა „კუბური ჩანახატებისა, რომლებიც მხატვრებმა ე. კანდელაკმა და გ. ყმელავამ გააკეთეს თავისუფლების კუნძულზე ყოფნის დროს.

მენისტერი ინტერესით გაეცნო სასწავლებლის სპორტული დიდების ისტორიას. დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში უმაგალითო მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს ამ უძველესი სამხედრო სასწავლებლის აღზრდილებმა, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში არსებობის 50 წლისთავს აღნიშნავს. 33 მათგანს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და სასწავლებლის კურსდამთავრებულის სამკერდე ნიშანი.

კვირას, ნაშუადღევს, რაულ კასტრო რუსი და მისი თანმხლები პირნი ბაკოში გაფრინდნენ. 13 აპრილს საღამოს ისინი თბილისში დაბრუნდნენ. (საკდესი).

დიადი იდეური მემკვიდრეობა — მასებს!

პოლიტიკური სიმწიფის წყარო

რაც უფრო ჯუბლოვდებით ღირსსახსოვარ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, მით უფრო ძლიერდება შრომელთა ინტერესი დიდი ბელადის იდეური მემკვიდრეობის, მისი გმირული ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის დაუფლებისადმი. ეს პროცესი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს შრომელთა პოლიტიკურ შეგნებასა და მომწიფებაზე. მათი შთაგონებისა და ოპტიმიზმის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

შრომელთა ამ ინტერესის დაკმაყოფილების, ლენინის იდეების პროპაგანდის, ადამიანთა პოლიტიკური სიმწიფის, იდეური წრთობის სამსახურში ჩაყენების ამოცანებს უკეთ წყვეტენ ის, სადაც პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ზრუნავენ მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისა და ქმედითობისათვის.

ახლა პარტიული ორგანიზაციები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები მასებს სრულად, ყოველმხრივ უჩვენებენ პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლას ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობას, ლენინის ისტორიულ როლს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ლენინური იდეების დაუფლებისათვის, ადამიანთა პოლიტიკური სიმწიფისათვის პარტიული ორგანიზაციების ხელში მძლავრი იარაღია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის". ისინი თეზისების საფუძველზე აშუქებენ ლენინიზმის ყოვლისმძლე, ცხოველმყოფელ ძალას კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემებთან მჭიდრო კავშირით, იმ პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც დაგვისახა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ".

პროპაგანდისტულმა და მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ წინასაიუბილეო „დღეებში ახალი გაქანება მიიღო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში. ლექტორები, პოლიტინფორმაორები, აგიტატორები მსმენელებს ესაუბრებიან ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: „ვ. ი. ლენინის ცხოვრება გმირობაა", „მუშათა კლასი — საზოგადოების მთავარი რევოლუციური ძალა", „პირველი კომუნისტური შაბათობების ისტორიიდან", „სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ძალა" და სხვ. ამასთან ისინი საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ საწარმოს, ადამიანთა წინაშე მდგომ ამოცანებს.

როცა სექციებისა და გრაგნილების საამქროს აგიტატორი ლ. ხოხიაშვილი საუბარს ატარებდა თემაზე „შენი წვლილი იუბილესათვის მზადებაში", მან მოიყვანა კონკრეტული ციფრები და ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ ხვდება ბელადის დაბადების 100 წლისთავს ქარხნის კოლექტივი, საამქროს თვითეული წევრი. ამასთანავე აგიტატორმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე, კერძოდ, იგი შეეხერდა შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში არსებულ ხარვეზებზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მან ზოგიერთი კონკრეტული მოსაზრებაც წამოაყენა. თავიანთი მოსაზრებანი წამოაყენეს ავრეთვე მსმენელებმა. აგიტატორმა ეს წინადადებანი გააცნო საამქროს ხელმძღვანელობას, რომელმაც კონკრეტული ღონისძიებები დასახა. მათ შორის ერთ ერთი ის იყო, რომ თვითეულ მუშას მიეცა შრომის ნაყოფიერების ზრდის კონკრეტული დავალება. ამან მნიშვნელოვნად აამაღლა მუშათა დაინტერესება და პასუხისმგებლობა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის.

ჩვენს პროპაგანდისტულ, სააგიტაციო მუშაობაში, მთავარია ის, რომ ლენინიზმის იდეები, რომლებიც მასებს დაეუფლებიან, გადაიქცეს თვითეული მშრომელის პირად რწმენად და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ორგანულად ერწყმოდეს კომუნისტურ საქმეებს. პოლიტიკური მომწიფების, იდეური სიმტკიცის განმსაზღვრელი მარტო პოლიტიკური ცოდნის ათვისება როდია. იგი უწინარეს ყოვლისა უნდა ვლინდებოდეს აქტიური ბრძოლით პარტიის იდეებისა და პოლიტიკის განხორციელებისათვის. ამიტომ ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების პროპაგანდას ისე უნდა ვაწყობდეთ, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი აღიზარდოს როგორც ახალი საზოგადოების აქტიური, შეგნებული მშენებელი, რომელიც დარწმუნებული იქნება თავისი საქმისადმი ნამართლესა და უძლეველობაში.

ახეთი სულისკვეთებით ზრდიდნენ და ზრდიან მშრომელებს ჩვენი პარტიის იდეური მებრძოლები საბჭოთა ხელისუფლების განვითარების ყველა ეტაპზე. საინტერესოა ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის სარეჩ-სართავი უბნის აგიტატორის, ლენინის ორდენოსან გ. გაბადაძის მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ ეწეოდა იგი, როგორც აგიტატორი, ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, როგორ რაზმავდა მუშებს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. აგიტატორი ლენინის, ლენინიზმის გავლენას თავისი ფაბრიკის ათასობით მუშის ბედზე გამოხატავს კონკრეტული მაგალითებით.

ადამიანის პოლიტიკურ სიმწიფეს, სიმტკიცეს უნდა ვაფასებდეთ იმის მიხედვით, შესწევს თუ არა მას უნარი ლენინის მიხედვით ამოწმებდეს თავის შრომასა და ცხოვრებას, თავისუფლდებოდეს ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის წინსვლაში, შეურიგებლობას იჩენდეს უპატიოსნობისა და სიყალბისადმი. ლენინის იდეებზე აღზრდილი კომუნისტური რწმენის ადამიანი გულგრილი ვერ იქნება და ვერაფერს დათმობს, როცა საქმე ეხება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს.

ბევრი ტყვარჩელელი პოლიტინფორმატორი და აგიტატორი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მიმართავს ლენინის შრომებს, ღრმად უფიქრდება მათს შთამბეჭდავ ფრაზებს, სტრიქონებს, სიტყვებს. ლენინის ყოველი სიტყვა ხომ მოწოდებაა მოქმედებისათვის. მაგალითად, მეხუთე შახტის აგიტატორმა ლ. ბერულავამ ერთ-ერთ საუბარში მსმენელებს მოაგონა, რომ ლენინი გვასწავლიდა დავუკვირდეთ ცხოვრების ყოველ ფაქტს, ხანიმშო ვიყოთ დიდსა და მცირე საქმეში, პრინციპულობა გამოვიჩინოთ სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ლენინისაგან უნდა ვსწავლობდეთ ნაზოგადოებრივი ქონების გაფრთხილებას, მოტყუებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. შემდეგ აგიტატორმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები შახტის ცხოვრებიდან, ილაპარაკა იმაზე, თუ ვინ ერთგერთ ასრულებს ლენინის ამ ანდერძს, რა ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა.

მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის მნიშვნელოვანია პროპაგანდისტულ; მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში წინა პლანზე ეწევდეთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, ვითვალისწინებდეთ, რომ იმპერიალიზმის იდეოლოგები გააფთრებით უტევენ ლენინიზმს, რომელშიც ისინი ხედავენ ხალხთოვის ხელეკრ. მიმპერიალისტები ყველაფერზე მიდიან, ამახინჯებენ ლენინიზმის არსს, ამცირებენ მის მნიშვნელობას. ამიტომ არის სწორედ საჭირო, რომ ლენინის იდეების პროპაგანდას ვაძლევდეთ მებრძოლ. შემდეგ ხასიათს, ისე წარმართავდეთ მას, რომ დროულად ვამხილებდეთ ბურჟუაზიული პროპაგანდის მონაკოლრებს, ვუნერგავდეთ მშრომელებს ლენინიზმის სიდიადისა და ყოვლისმძლეობის რწმენას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის აღზრდას ლენინიზმის სულისკვეთებით. ახალგაზრდობის იდეური სიმწიფის ნამდვილი დათვალიერება იყო ახლახან დამთავრებული ლენინური ჩათვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა კომკავშირელმა, ახალგაზრდობის უმრავლესობამ. ჩათვლის მასობრიობამ, მისმა პოპულარობამ გვიჩვენა შეგნებულობის, პოლიტიკური სიმწიფის მაღალი საფეხური ჩვენი თაობისა, რომლისთვისაც ლენინიზმი უმაღლესი ავტორიტეტიც არის, საიმედო იარაღიც და ბრძოლის დროშაც.

ხოხუმელი კომკავშირელის ზ. ბუზუას ჩათვლის ნიგნაკს რომ ჩახედავთ, გული სიამაყით გევსებათ. ლენინური სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მან შეისწავლა ბელადის ბიოგრაფია და მისი ცალკეული შრომები: „რა ვაკეთოთ?", „სახელმწიფო და რევოლუცია", „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები". ამასთანავე ერთად აიმაღლა თანრიგი, მონაწილეობა მიიღო „პროფესიათა საუკეთესოს", სახელისათვის გაშლილ კონკურსში და პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთში. ერთი სიტყვით, ეს ახალგაზრდა საკმაოდ მომწიფდა პოლიტიკურად იუბილესათვის მზადების პერიოდში.

ლენინისადმი უსაზღვრო სიყვარულს და მისი ანდერძის განხორციელებისათვის მასების აქტიურ ბრძოლას გამოხატავს სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულ ბრძოლის ნიმართლესა და უძლეველობაში.

ახეთი სულისკვეთებით ზრდიდნენ და ზრდიან მშრომელებს ჩვენი პარტიის იდეური მებრძოლები საბჭოთა ხელისუფლების განვითარების ყველა ეტაპზე. საინტერესოა ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის სარეჩ-სართავი უბნის აგიტატორის, ლენინის ორდენოსან გ. გაბადაძის მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ ეწეოდა იგი, როგორც აგიტატორი, ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, როგორ რაზმავდა მუშებს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. აგიტატორი ლენინის, ლენინიზმის გავლენას თავისი ფაბრიკის ათასობით მუშის ბედზე გამოხატავს კონკრეტული მაგალითებით.

ბევრი ტყვარჩელელი პოლიტინფორმატორი და აგიტატორი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში მიმართავს ლენინის შრომებს, ღრმად უფიქრდება მათს შთამბეჭდავ ფრაზებს, სტრიქონებს, სიტყვებს. ლენინის ყოველი სიტყვა ხომ მოწოდებაა მოქმედებისათვის. მაგალითად, მეხუთე შახტის აგიტატორმა ლ. ბერულავამ ერთ-ერთ საუბარში მსმენელებს მოაგონა, რომ ლენინი გვასწავლიდა დავუკვირდეთ ცხოვრების ყოველ ფაქტს, ხანიმშო ვიყოთ დიდსა და მცირე საქმეში, პრინციპულობა გამოვიჩინოთ სხვებისა და საკუთარი თავის მიმართ. ლენინისაგან უნდა ვსწავლობდეთ საზოგადოებრივი ქონების გაფრთხილებას, მოტყუებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. შემდეგ აგიტატორმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითები შახტის ცხოვრებიდან, ილაპარაკა იმაზე, თუ ვინ ერთგერთ ასრულებს ლენინის ამ ანდერძს, რა ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა.

ლენინურად ვიშრომოთ, ვისწავლოთ, ვიცხოვროთ

ლენინური ჩათვლები

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდები — საკავშირო კომკავშირულ კრებაზე

მუშათა კლუბი ახალგაზრდებით სავსეა. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხელოვნიელი არ მოსულან აქ, საკავშირო კომკავშირის კრებაზე. დარბაზში არავინ ზის ჩამორჩენილი. კომკავშირელებმა, მკსოველებმა ცირა კილსონიამ, მარიამ ყაბინამ, ვერა ბიჭიკაშვილმა, ლამარა. ბანეთიშვილმა და ბევრმა სხვამ თავიანთი ხუთწლიანი გეგმა ამ სული წლის ბოლოს შეასრულეს და ახლა მომდევნო ხუთწლედის ანგარიშში შრომობენ. ესენი ის ახალგაზრდები არიან, რომელთა გამრჯე ხელით დამზადებული მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები — კრეტონები, კრეპჟორჯეტი, სარეკ, კაპრონი, პოპლინი და მრავალი სხვა ალამაზებენ და ამშვენებენ საბჭოთა ადამიანების ყოფასა და ცხოვრებას.

შვიდასამდე ახალგაზრდა ყურადღებით უსმენს სკკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. მ. ტიაჟელნიკოვის რადიოთი გამოსულას, რომელიც აქ ფირზე ჩაწერილი გადასცეს.

ეს შეკრება არასოდეს არ დაავიწყდებათ ფაბრიკასთან არსებული 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებს მარინე ქოქოსაძეს, მაკლინა შატუხინას, ეთერ გარსევანიძეს, მანანა ბაიოკამოვას, რომლებიც საზეიმოდ მიიღეს კომკავშირის წევრობად. ისინი ისმენენ მათზე ნათქვამ სიტყვებს და უბარიათ, რომ მათი სწავლა და ზრდა ასე კარგად შეფასდა, რომ ისინი სახელგანქმული მუშათა კლასის რიგებში ჩადგებიან.

კრებამ სკკ 7 რიგებში წევრობის კანდიდატად შესასვლელად რეკომენდაცია მისცა სიჩითავი საამქროს მუშას მარინე ახობაძეს, გამომყვანი წარმოების ბორის ბერიძეს და ზაირა შალამბერიძეს, საფუთავ-საწუნმიებლო განყოფილების მუშას მანანა თათიშვილს. აქ ითქვა, რომ ისინი თაყანსიანი, ბეჯითი, შრომისმოყვარე ახალგაზრდები არიან, სერიოზულად ეკიდებიან მინდობილ საქმეს და გაამართლებენ ნდობას.

მოხსენებით თემაზე — ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ლენინურად — გამოვიდა კომკავშირის კომიტეტის მდივანი მურმან ტრაპაიძე.

წარმატებით მოეწყო ჩვენთან ლენინური ჩათვლები, რომლებშიც თითქმის ყველა ჩვენმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ეს იყო ჩვენი კომკავშირელების არა მარტო შემოწმება, არამედ მათი ძალიანი დათვალიერებაც. ახალგაზრდები ენერგიულად შრომობდნენ იმისათვის, რომ უკეთ ესწავლათ, ეშრომათ, ყაირათიანად გასძღოლოდნენ თავიანთ უბნებს, აამაღლებინათ იდეურ-პოლიტიკური დონე, შეესწავლათ ლენინის მდიდარი მემკვიდრეობა.

ჩვენმა ფაბრიკამ გასულ წელს პროდუქციის გამომშვების გეგმა 100,6 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 102,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამომშვებულია 829.000 მეტრი მზა აბრეშუმის ქსოვილი. ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა დიდძალი სათბობი და ნედლეული. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით ჩვენს ახალგაზრდებსაც. გაიზარდა დამკვრელ კომკავშირელთა რიგები. ასზე მეტმა ახალგაზრდამ აიმაღლა კვალიფიკაცია, 50-მა შეისწავლა მომიჯნავე სპეციალობა. ახალგაზრდებმა აითვისეს უმაქოო პნევმატური დაზგები. კიდევ უკეთ მუშაობენ ახლა ჩვენი კომკავშირელები. მომდინარე წლის პირველ კვარტალში მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასეული ათასობით მეტრი მზა პროდუქცია. დღეს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანებს, რომლებიც აქ გვესწრებიან და ჩვენს უფროსებს გვსაუბრობენ, რომ პირნათლად შეეხებოდეთ დაკისრებული მოვალეობა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ახალგაზრდები. სიამაყისა და სიხარულს მოგვგრის მათი სიტყვები. აბა მოისმინეთ მოსამზადებელი საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრის დალი ლიკლიკაძის, სამდებრო საამქროს ახალგაზრდული ბრიგადის წევრის გულო ლეკვაკის, გამომყვანი საამქროს მოწინავე მუშის ელგუჯა კერესელიძის გამოსვლები — მათ ამაყად განაცხადეს, რომ ლენინურმა ჩათვლებმა ბევრი რამ შესძინა მათ. პირველ ყოველისა უკეთ იშრომეს, აიმაღლეს იდეურ-პოლიტიკური დონე, შეისწავლეს ლენინის თეორიული მემკვიდრეობა, აამაღლეს შრომის კულტურა, განამტკიცეს შრომის დისციპლინა, გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, 22 აპრილს ვიმეშვაკეთ დაზოგილი ნედლეულით, თვითეულმა ჩვენეულმა კარგად იცის, რომ ნაყოფიერი შრომა — ეს ათეულ ათასობით მეტრი პირველხარისხოვანი პროდუქციაა, რაც ასე ამრავლებს სახალხო დოვლათს, — თქვეს მათ.

— ჩვენს ფაბრიკას დიდი სასახელო ტრადიცია აქვს, — განაცხადა სოციალისტური შრომის გმირმა, მრავალდაზგისანმა მკსოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეთერ სოლომონიამ, — ჩემი თაობის ახალგაზრდები თქვენსავით ვიდექით შრომის ვახტზე და პირნათლად ვშრომობდით, არ შეგვირცხვენია უფროსი თაობის, მამებისა და დედების სახელი, საიმედოდ წავიღეთ ესტაფეტა, რომელიც გადმოგვეცა, ამის შემდეგ იგი თქვენს ხელში გადმოვა. თქვენი ვალია ასახელოთ შრომელთა ფაბრიკა, დაუფრთხილდეთ მის ღირსებას, მარკას.

ახალგაზრდებს საიუბილეო დღესასწაული მიულოცეს ვეტერანმა კომკავშირელმა პ. პეტრუშინმა და ქარხნის მეთოდკომისიის თავმჯდომარემ ა. ჩიხლაძემ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის წარმომადგენელმა გ. მდივანმა, ახალგაზრდებს მიულოცა რა დღესასწაული, წარმატებანი უსურვა მათ სწავლასა და შრომაში, გადასცა სამახსოვრო ვიმეული „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მიღწეული წარმატებებისათვის".

წაკითხულ და ერთსულოვნად მოწონებულ იქნა წერილის ტექსტი, რომელსაც ახალგაზრდები უგზავნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ფაბრიკის ბეჯითი ახალგაზრდები პირობას დებენ, რომ თავიანთი ხუთწლიანი გეგმის დამთავრებას დედასამშობლოს 1970 წლის საოქტომბრო დღესასწაულის ზეიმის დღეებში უპატაკებენ.

ე. მამალაძე.

ასე შენდება ახალი სკოლები

ჩვენი ინტერვიუ საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან თამარ ლაშქარაშვილთან

როგორია სასკოლო მშენებლობაში ჩვენი ზრდის სურათი უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე?

სასკოლო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება ყოველწლიურად იზრდება, თუ 1959 წელს სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობაზე გამოყოფილი იყო 3.970 ათასი მანეთი, ეს თანხა 1970 წლისათვის სამნახევარჯერ გაიზარდა და 13.900 ათას მანეთს შეადგენს.

სულ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სასკოლო მშენებლობაზე გამოყოფილი იყო სახელმწიფო კაპიტალდაბანდება 58.300 ათასი მანეთი.

გთხოვთ გვიამბოთ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკაში სკოლების მშენებლობისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა სისტემატურად ხელმძღვანელობენ და დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკაში სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებას. პერიოდულად ხდება განხილვა მშენებლობის მიმდინარეობის საკითხებისა მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით, რათა გამონახულ იქნას სასკოლო მშენებლობის დროულად დამთავრების უკეთესი გზები და საშუალებები. უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე გადაჭარბებით სრულდება შენობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. მაგალითად, 1965-1969 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასკოლო შენობები 101,8 ათასი მოსწავლის ადგილით, ნაცვლად, გეგმით გათვალისწინებული 89,1 ათასი მოსწავლის ადგილისა.

ცხადია, სასკოლო შენობები — ხულ უფრო მეტი და უკეთესი გვაქვს, მაგრამ მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდას მშენებლობა მხარს ვერ უბამს. როგორია ამ მხრივ შედარება?

სასკოლო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და მშენებლობის მოცულობა ყოველწლიურად დიდად იზრდება. მაგრამ, საბედნიეროდ, ხალხის ცხოვრების დონის მუდმივი ამაღლების შესაბამისად უფრო იზრდება მოსწავლეთა კონტინგენტი. ამიტომაც სასკოლო შენობები ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებებს ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს, კონტინგენტის სახსრებით ამენდის 323 სასკოლო შენობა 72.700 მოსწავლის ადგილით.

საინიციატივო მშენებლობის ხაზით 1968-1969 წლებში აგებულ იქნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სასკოლო შენობები და არსებულ სასკოლო შენობებს მიეშენდა საკლასო ოთახები, 26.706 მოსწავლის ადგილით.

1970 წლისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმო-დაწესებულებებს და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება საინიციატივო მშენებლობის ხაზით ააგონ სასკოლო შენობები 16.500 მოსწავლის ადგილით.

როგორია სტიმული მშენებლებისათვის, მოწონაკე რაოენებისა და სამშენებლო კოლექტივებისათვის?

მშენებელთა მოწინავე კოლექტივები ჯილდოდებიან სასკოლო მშენებლობის დროულად და ჯეროვანი ხარისხით დამთავრებისას, ეძლევიან პრემიები მშენებლობაზე მიღწეული ეკონომიის ფონდიდან, გადაეცემათ გარდამავალი წითელი დროშები და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იმ მუშაკებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ სასკოლო მშენებლობაში, აჯილდოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „განათლების წარჩინებული მუშაკის" სამკერდე ნიშნით და სიგელებით. სულ ამ უკანასკნელ წელში ასეთი სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულია სასკოლო მშენებლობის წარჩინებული 100-მდე მუშაკი.

გთხოვთ დაგვისახელოთ ყველაზე სანიმუშო და კეთილმოწყობილი ახალი სასკოლო შენობები. რით გამოირჩევიან ისინი?

სანიმუშოდ კეთილმოწყობილი ახალი სასკოლო შენობა რესპუბლიკაში ბევრია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუნდაც მარტო ქ. თბილისში შეიძლება დასახელოთ რამდენიმე მაგალითი, კერძოდ, მე-5, მე-8, 112-ე, 129-ე, 132-ე, 133-ე, 130-ე, 140-ე, 147-ე, 136-ე სკოლები ან სკოლები, სადაც გაერთიანებულია [illegible] — 125-ე, [illegible] — 52-ე, [illegible] — 132-ე [illegible] სკოლა ლენინის სახელობის რაიონში, ჩარგლის ტეხაზე. ეს სასკოლო შენობა ეკუთვნია ტიპური პროექტით, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ სათავსს, რაც სასკოლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის არის საჭირო და აუცილებელია არა მარტო თვით სკოლის შენობაში, არამედ ეზოშიც. სკოლას სანიმუშოდ აქვს გაფორმებული ეზო, კარგად მოვლილია სასწავლო საცდელი ნაკვეთი, შენობის შიგნით კარგად არის აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები და საგნობრივი კაბინეტები, მოწყობილია ავტომატური დისტანციური მართვა, მაქსიმალურად გამოყენებულია თვალსაჩინოება. უზრუნველყოფილია ყველა იმ ლაბორატორიული ცდისა და სამუშაოს ჩატარება, რაც სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის გეგმით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1969 წელს დაამუშავა ახალი ინდივიდუალური პროექტები დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის, პროექტები საქართველოს სსრ „სახმშენმა" განიხილა და მოიწონა. ამ პროექტების მიხედვით 1970 წელს გათვალისწინებულია ექსპერიმენტული მშენებლობა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში.

მოახლოვდა დიდი თარიღი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. რით ხვდებიან სკოლის მშენებლები ამ იუბილეს?

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად სკოლების მშენებლებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი — დადგენილ ვადაზე ადრე ჩაბარონ როგორც სასკოლო, ისე სბავშვო დაწესებულებათა შენობები.

ჩვენი რესპუბლიკა მუდამ იყო მოწინავეთა რიგებში და, ეჭვი არ არის, კვლავაც მოწინავე იქნება იმ თვალსაჩინო უბანზეც, რომელსაც სასკოლო მშენებლობა ჰქვია.

* * *

დედაქალაქის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის რაიონში, ელმავალსაშენებლო ქარხნის დასახლებაში, აღმართულია ახალი სასკოლო შენობა, რესპუბლიკის ერთი იმ მრავალ შენობათაგანი, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. სურათზე თქვენ ხედავთ დედაქალაქის 48-ე საშუალო სკოლის შენობას.

ფოტო ვლ. ბინზუბურბისა.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

კრიტიკა კრიტიკისათვის?

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომი

„კომუნისტის" მიმდინარე წლის 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია „კრიტიკა კრიტიკისათვის?", რომელიც „საკმოფლტექნიკის" რაიონული განყოფილების მუშაობას შეეხება, „სინამდვილეს შეეფერება. პარტიის წულუკიძის რაიკომის ბიურომ 18 მარტს განიხილა კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგები და საჭირო ღონისძიებანი დასახა ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის.

ბიურომ შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებლობისათვის, დისციპლინის შესუსტებისათვის, ზოგიერთ დარგში საწარმოო გეგმების შეუსრულებლობისათვის „საკმოფლტექნიკის" ბანყოფილების მმართველის მოვალეობის შემსრულებელს ი. ხომერიკს გამოუცხადა საყვედური.

პარტიულ-ორგანიზატორულ და საადგილიო-მასობრივ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გაფრთხილებულ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ძ. ფოფონავა.

სისუფთავე გაქანსაც სჭირდება

ჩვენი გაზეთის 3 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა სიგნალი, რომელიც ეხებოდა რკინიგზის ნოსირის ბაქანზე შექმნილ ანტისანიტარიულ მდგომარეობას.

ამ წერილთან დაკავშირებით ცხაკაია რაისაბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს, რომ განახორციელეს ღონისძიება ბაქანზე სისუფთავის დასაცავად. მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები.

პროფკავშირთა ამოცანები საარჩევნო კამპანიაში

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემზადებასა და მოწყობაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ". პროფკავშირთა საბჭოებს, პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში. საჭიროა დაეხმარებოთ მშრომელები იმისათვის, რომ თვითეულმა კოლექტივმა წარმატებით შეასრულოს სოციალისტური ვალდებულებანი, გადაწყვიტოს ის ამოცანები, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ".

რჩევა მიეცეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ნათქვამია დადგენილებაში, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი და განავითარონ მასების შემოქმედებითი აქტივობა. მშრომელთა მეცადინეობა უნდა წარმართონ მატერიალური რესურსებისა და სახელმწიფო სახსრების მომჭირნედ ხარჯვისათვის, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პროფკავშირულმა ორგანოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშა-მოსამსახურეთა კრებების მოწყობაში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების დროს, ფართოდ გამალონ აგიტაცია იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიონ კომუნისტებისა და უპარტიოების უღრეკი ბლოკის კანდიდატები — მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

დადგენილებაში განსაზღვრულია პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანები საარჩევნო კამპანიის პერიოდში. (საყდესს).

„კომუნისტი"
მე-2 გვერდი, სამშაბათი, 14 აპრილი, 1970 წ.

დიადი მემკვიდრეობა

უმაღლეს სასწავლებელთა სკკპ ისტორიის კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური საიუბილეო სამეცნიერო სესია

ყოველი დღე გვაახლოებს დიად იუბილეს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით მთელ ჩვენს რესპუბლიკაში იმართება საიუბილეო ღონისძიებები.

ამას წინათ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საკქმო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა სკკპ ისტორიის კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესია. იგი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სკკპ ის

ლენინის შუქი ჩვენს პლანეტაზე

მებრძოლი, მოაზროვნე

ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი სხდომა კაიროში

კაირო, (საკდესის კორ.). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის არაბთა სოციალისტური კავშირის შტაბ-ბინის სასალხო დარბაზში გაიმართა ეგვიპტის საზოგადოებრიობის სხდომა ვ. ი. ლენინის „ბრძოლა, მეგობარ ინგლისელ ბრძოლა“. სხდომა მოაწყო აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს გენერალურმა მდივანმა იუსეფ ეს-სიბაიმ. ორატორმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა „ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ნაყოფიერი გავლენა მსოფლიოს ყველაზე დაშორებული კუთხეების ხალხთა ბედზე, რომლებიც აღდგნენ სოციალური სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, ტირანიისაგან, ფეოდალიზმისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად“. სხდომაზე ლენინისადმი უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობები გამოთქვეს აფრეთვე ლაოსის, აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წარმომადგენლებმა და სხვა ორატორებმა. სხდომაზე განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობას და ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა რ. ა. ულიანოვსკიმ. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა ორატორებს საბჭოთა ხალხის მიმართ წარმოთქმული გულთბილი სიტყვებისა და გრძნობებისათვის.

საყოველთაო აღიარება

ტამპერე, (საკდესგ). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა იუნესკოს საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმმა „ვ. ი. ლენინი **და მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების საკითხები“.**

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერები იხილავდნენ ლენინის შრომების თეორიულ დებულებებს ამ პრობლემებზე.

თავიანთ გამოსვლებში სიმპოზიუმის მონაწილეებმა და მეთავეობაზე მყოფებმა —გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელ რიგ სპეციალიზირებულ ორგანიზაციათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვ. ი. ლენინის მოძღვრებას, აგრეთვე სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილებას ფაროვნად იყენებენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მრავალი საარსებო დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრისას.

საბოლოო სხდომაზე ფინელმა მეცნიერმა პროფესორმა ლაური ა. პოსტიმ აღნიშნა, რომ ლენინიზმის გავლენა არ შემოსაზღვრული ერთი ქვეყნის ფარგლებით, იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უძღვნიან რა ამ სამეცნიერო ფორუმს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ისინი ამით პატივს სცემენ არა მარტო დიდ ადამიანსა და სახელმწიფოთ მოღვაწეს, არამედ უდიდეს მეცნიერსა და თეორეტიკოსსაც, რომელმაც უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა კაცობრიობას.

საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოვიდა აკადემიკოსი ა. მ. რუმიანცევი, რომელმაც განაცხადა, რომ ვ. ი. ლენინის, ნოგორც ახალი ტიპის სახელმწიფო მოღვაწის ერთ-ერთი უბრწყინვესი სფეროა ის, რომ მეცნიერების, კულტურისა და განათლების სიკეთენი ხალხთა მასების კუთვნილება გამხდარიყო.

ა. მ. რუმიანცევმა მადლობა გადაუხადა ფინელ მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისა და დიდი ორგანიზატორული მუშაობისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო სიმპოზიუმის წარმატებას.

ღონისძიებათა ფართო პროგრამა

● **ჩეხოსლოვაკია.** ბრატისლავაში გაიმართა ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მისმა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას თანამედროვე პრობლემების გაგებისა და გადაჭრისათვის.

● **იტალია.** რომში გაიმართა კრება, რომელიც იტალიის კომპარტიის დედაქალაქის ფედერაციამ მოიწყო. იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ნატამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ლენინის მოძღვრება მუშათა კლასის პარტიის შესახებ“.

● **ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა.** ჯ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფართო პროგრამა ხორციელდება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ საიუბილეო დღეებში ძირითადი ყურადღება ეთმობა ლენინის შრომების, მისი ბიოგრაფიის, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადის შესახებ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელების სტატიების შეკრებას. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი მოთხოვნაა.

● **ინდოეთი.** „ახალგაზრდა თაობამ უნდა შეისწავლოს ვ. ი. ლენინის შრომები და მისი დიდი წვლილი მსოფლიო პროგრესში“, — განაცხადა კერალის შტატის მთავარმა მინისტრმა ანუტანმენონმა. მან სიტყვა წარმოთქვა ტრივანდრამში ეროვნული სემინარის გახსნაზე, რომელიც კერალის უნივერსიტეტმა მოაწყო ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲮᲝ

ᲛᲝᲬᲐᲛᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

კოპენჰაგენი, იუტლანდიის რაიონში ქალაქ ნერბიუს მახლობლად გასცდა ნატოს ბენზინსადენი, რომელიც დანიის ტერიტორიაზე გადის დასავლეთ გერმანიის საზღვრამდე. ამის შედეგად მიწის ზედაპირზე ამოხეთქა რეაქტიული თვითმფრინავების 20 ათასამდე ლიტრმა საწვავმა.

დანიის ხელისუფალნი შეეცადნენ დაემალათ ეს ფაქტი ქვეყნის საზოგადოებრიობისათვის და მოიმიზეზეს „სამხედრო საიდუმლოების შენახვის საჭიროება“.

„ლანდ ოგ ფოლკი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ, სპეციალისტთა აზრით, მიწაზე დაფვრილ და გრუნტის წყლებთან შერეულ საწვავს შეუძლია 15-20 წლის განმავლობაში მოწამლოს ჭების სასმელი წყალი, რომლებითაც სარგებლობენ ახლომახლო მცხოვრები გლეხები. (საკდესი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

საზეიმო სხდომა ბრიუსელში

ბრიუსელი, 13 აპრილი. (საკდესი). აქ გაიმართა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სხდომა გახსნა ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარემ მარკ დრიუმომ, რომელმაც ხაზი გაუსვა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის მოღვაწეობას. მან აღნიშნა, რომ ლენინის მოძღვრება ყველა ქვეყნის მშრომელებმა უნდა გამოიყენონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობაში.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

კაირო, 13 აპრილი. (საკდესი). მეგვიპტელი ხალხი და მთელი არაბი ერი იბრძვიან არსებობისა და მოგავლისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, პოლიტიკური და სოციალური განვითარების უფლებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ბანკების ნაციონალიზაციისა და ეროვნული ინდუსტრიის ინტენსიური განვითარებისა და ამაღლებისათვის, — ამბობს „ალ ჰალეი“ ალ ფოლკ“ ამასთან დაკავშირებით ეგვიპტეს ეროვნული ბანკების ნაციონალიზაციის ერთ-ერთ ინიციატორ ალ ბანანის ინტერვიუ.

„ეროვნული ბანკების ნაციონალიზაციის

საქართველოს მთა-ბაკეთი

შეხვედრა დედებთან

ცხაკაია. (საკ. კორ.) სახალხო თეატრის შენობაში მოეწყო მრავალშვილიან დედებთან შეხვედრის საღამო, რომელიც მესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა დოდო უნანეიშვილმა. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი რ. ოფერია. მოხსენება თემაზე — „ვ. ი. ლენინი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ქალის როლის შესახებ“ წაიკითხა ქალაქ ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელმა კლავდია შურღულაიამ.

გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს ხალიჩების კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ცაგურიამ, ხორშის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ი. კანკავამ, ექიმმა ლამარა წერეთელმა. მოსწავლე ზ. საჯაიამ, მასწავლებლებმა ვ. მაქაცარიამ, მრავალშვილიანმა დედამ, ლენინის ორდენოსანმა მასწავლებელმა ქრისტინე ესხვებუამ, ძველმა კომკავშირელმა ბ. ბურუამ და სხვებმა. მოქანდაკე კ. გურულმა გმირ დედებს გამოუგზავნა თავისი ჭედური ნამუშევარი „დედა და შვილი“. ახალგაზრდა კომპოზიტორმა ვ. დურგლიშვილმა შეასრულა საკუთარი მუსიკალური ნაწარმოები „მარუხის გმირებს“, შეკრებილთ მიესალმნენ პიონერები.

სიახლენი...

ტყibული. (საკ. კორ). ქალაქის კინოჩელის დირექცია მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს კინოფილმების დემონსტრირების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამ დღეებში აქ ამოქმედდა მოძრავი კინო, რომელიც მომსახურებას უწევს პიონერთა სასახლეს სამთო-მაშველი რაზმისა და შარპეულის მუშათა კლუბებს. კინოფიკაცია „მაორში“ განხორციელდა კინოფირის გადასვლაზე აგტომატიზაცია, კინომექანიკოსებმა ჯ. ბოჭორიშვილმა და მ. ბაინდურაშვა დანერგეს რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ხელი შეუწყო ოპტიკური სარკის სამსახურის ვადის მნიშვნელოვნად გადიდებას. ეს სიახლე წელიწადში 240 მანეთის პირობით ეკონომიას იძლევა.

ჭიათურა. (საკ. კორ.). კომკავშირის ქუჩაზე აღიმართა ხუთსართულიანი ნაგებობა, რომელიც აშენებულია რკინაბეტონითა და მინით. იგი ეკუთვნის ჭიათურის მარგანეშენის ტრესტს.

შენობის პირველ სართულზე მოთავსდება მშენებელთა ბანკი და ბასადილო. მეორე-მესამე სართულზე გაანლაგდება მარგანეშენის ტრესტი თავისი განყოფილებებით. მეოთხე-მეხუთე სართულზე მოთავსდება ჭიათურმშენის, ბინმშენის, მექანიზაციის სამმართველოები, სხდომათა დარბაზი.

თეატრალური ქრონიკა

ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში მაყურებელმა ნახა გ. ბერიაშვილის პიესა „სად ხარ, ჩემო მეგობარო?“. სპექტაკლი დადგა თეატრის რეჟისორმა ა. შერგილაშვილმა. მხატვრულად გაფორმა ა. რუსიაშვილმა.

ეს სპექტაკლი წარდგენილია სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, რომელიც მიმდინარე წლის მაისში მოეწყობა.

გ. გურასპიშვილი.

რამდენიმე დღეს ქობულეთის ახალ კულტურის სასახლეში და ახლომახლო სოფლებში სპექტაკლებს მართავდა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ქობულეთელებმა ნახეს ვ. კანდელაკის „დრო — 24 საათი“, ა. ჩხაიძის „ბიღი“, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და ვ. დარასელის „კიკვიძე“.

ო. კონცელიძე.

ქუთაისი. (საკ. კორ.) თოკვნების სახელმწიფო თეატრმა ნორჩ მაყურებელს ურჩვინა ფ. ხეროვის სამეგრული ზღაპარი-კომედია „ხელმწიფე ჯაში“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ვ. ქუთათელაძემ. მხატვრობა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკა — რ. ფერულაძეს, ქორეოგრაფია ა. სირბილაძე.

9 ლიტრ ალრე

მილიონობით ბოთლი „ზვარე“

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის თავდადებულად შრომობს ზვარეს მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც შარშან სამშობლოს მისცა 540 ათასი ბოთლი ზეგეგმითი „ზვარე“.

ქარხნის კოლექტივმა წელს უნდა ჩამოასხას 5 მილიონი ბოთლი „ზვარე“. მისი ვალდებულებაა აპრილის დავალება შეასრულოს 22 აპრილისათვის, ხოლო წლიური გეგმა — პირველი დეკემბრისათვის და ჩამოასხას ასეულ ათასობით ბოთლი ზეგეგმითი „ზვარე“.



შემთხვევა რკინიგზაზე

სიკვდილს გადაურჩა ორი სიცოცხლე

ეს ამბავი ახლახან მოხდა. ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე ოთარ მელაძე და მისი თანაშემწე თენგიზ ახრახაძე, რომელთაც ქუთაის-ტყibულის გადასარბენზე მძიმეწონიანი მატარებელი მიჰყავდათ, ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ლიანდაგს.

მატარებელი საფიჩხიის ბაქანს ჯასიდა, როდა მათ ლიანდაგზე შენიშნეს, ორი წლის პიტუნა (იგი მამაცა ლომთათიძე აღმოჩნდა), რომელიც მოჯადოებულივით უყურებდა მისკენ მომავალ მატარებელს.

მიუხედავად განუწყვეტელი სიგნალებისა, ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა. მანძილი ბავშვსა და მატარებელს შორის სულ ეფრო მცირდებოდა. ბიჭუნას ეშინოდა. ამ დროს საიდანღაც ბავშვთან გაჩნდა 18 წლის ჭაბუკი ალექსანდრე კუბლაშვილი. მან საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაგდო, ელვის სისწრაფით დაავლო ხელი ბიჭს, მაგრამ ლიანდაგიდან გადმოსვლას ვერ ასწრებდა. ორთავეს დაეჯახა თითქმის ვარდუვალი იყო, რომ არ ემარჯვნა ბამანქანეს და მის ოანაშემწეს. მათ სულ რაღაც ნახევარი მეტრის მოშორებით შეელეს მატარებლის გაჩერება.

ივ. ბუსაიძე.

გაზაფხული ეთაში

ვინ აღწეროს გაზაფხულის მშვენება და სიდიადე. ვაჟანი არ იყოს, ისე არასოდეს არ დამშვენებულა, არ ამბინებულა ველ-მინდორი, როგორც გაზაფხულზე, ისე არასდროს არ ხარობს და მწვანით არ ამოსება ტყე, როგორც გაზაფხულზე...

მთებშიც მობრძანდა გაზაფხული — ხიცოცხლის მშობელი, მოიტანა სითბო და ხიხარული, იღვიძებს ტყე და მინდორი, ხმაურობენ ნაკადულები, ხოლო შორეული მთები დინჯად გაყუჩებულან თეთრ ნაბდებში გახვეულნი და აუღელვებლად დასცქერიან ქვეყანას.

ფოტო, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ირ. წიკლაურმა გუდამაყრის ხეობაში ამ დღეებში გადაიღო, ასახავს გაზაფხულის ერთ სურათს — სადაც არის იფეთქებს ტირიფის ყვავილები, დადნება უკანასკნელი თოვლი და სულ მალე ხიცოცხლისა და განახლების მწვანე ფერი მოედება ქვეყნიერებას.

გამოიცა მოსკოვში

ქართველი მხატვარ. სტირიკოპოლის კარიკატურების ახალი ალბომი

ბარბეპანზმ ნაცნობი კარიკატურაა: ორი მამაკაცი — ერთი გურულად თავწაკრული და მეორე ჩამოხეხილი ნაბდის ქუდით — არხეინად მიმჯდარა ჩრდილში და ეტყობათ ემბაკურ გეგმებს აწყობენ. სატირა აღებულია ქართული სინამდვილიდან, ავტორიც ადვილი გამოსაცნობია. ზემოთ კი, გარეკანის თეთრ ფონზე, შავი მკაფიო რუსული ასოებით აწერია მალაზონია.

გამომცემლობა „პრავდის“ მიერ გამოშვებული ეს ალბომი რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ნოდარ მალაზონიას სატირულ მემოქმედების წარმოადგენს.

როგორც გამოცემის რედაქტორი ვიტალი სტაცენსკი თავის შესავალ წერილში აღნიშნავს, მხატვარი კარიკატურულია ოსტატობის ზრდამ განაპირობა ის, რომ „კროკოდილის“ რედაქციამ გადაწყვიტა გამოეცა ალბომები რესპუბლიკების სატირიკოსთა ნამუშევრების ალბომები. 6 მალაზონიას ალბომი რუბრიკით „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“ ასიოთასიანი ტირაჟით გამოვიდა. მასში ქართველი სატირიკოსის ვრცელი მემოქმედებიდან მხოლოდ მცირე ნაწილია შესული. ისინი გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან მხატვრის ოსტატობის თავისებურებაზე.

შესავალ წერილში ვ. სტაცენსკი ბეთხველებს მოკლედ აცნობს ნ. მალაზონიას მემოქმედების გზას და გულთბილად ლაპარაკობს მხატვარზე არა მხოლოდ როგორც კარიკატურისტზე, არამედ როგორც სახოვანი, იდეურად მასვილი პლაკატებისა და ლიტიკული ფაზეური ფურცლების ავტორზე.

ლ. თაგუკაშვილი.

მატჩი როსტოვში

დინამოელებს ჭელარ იცნობდით...

სკა (დონის როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (1:1). დონის როსტოვი. 12 ივნისი „როსტსელმაშის“ სტადიონი. მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

სკა — კუდასოვი, სეროსტანოვი, გეტმანოვი, მირონოვი, აბრამოვი, ტრეშჩინი, კუჩინსკაია, ესკოვი, პროსკურნინი, ზინჩენკო, ფეტისოვი, (კაზაჩკი).

„დინამო“ — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციკავა, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტიავაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს — განვლილ ხუთ ტურში თბილისის დინამოელები შემოქმედებითი ბრძოლით მართლაც ყველაზე მაღლა იდგნენ და მათი თამაშში, რა თქმა უნდა, მოწონების ღირსი იყო.

და აი ამოიწურა საკუთარ მოედანზე შეხვედრათა პირველი ციკლი, ლიდერი პირველი გასვლითი მატჩისათვის დონის როსტოვს ეწვია და სწორედ აქ წაიბორძიკა. აქ საგანგაშო თითქოს არაფერია — მართალია, დინამოელებმა ორი ქულა დაკარგეს, მაგრამ ისინი კვლავ ლიდერთა ჯგუფში არიან. საერთოდ კი განა არსებობს ისეთი გუნდი, რომელმაც ჩემპიონატის მომქანცველი დისტანცია დაუმარცხებლად განვლის?

დასაწყისს ვერ დავემდურებოდით, დინამოელები თავიანთ საბრძოლო სახეს ინარჩუნებდნენ. მე-8 წუთზე პეტრეველისა და ლ. ნოდიას კომბინაცია გ. ნოდიამ გოლით დაგვირგვინა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „როსტსელმაშის“ სტადიონზე ორი ქულის საკითხი არც თუ ძნელად გადასაჭრელი პრობლემა იყო. მაგრამ მე-19 წუთზე ფეტისოვის საპასუხო ბურთმა მდგომარეობა ძირფესვიანად შეცვალა. „დინამოს“ რიტმული მუშაობა დაირღვა, განსაკუთრებით დაცვაში. სადაც ბევრს სცოდავდა ძოძუაშვილი. მატჩის გმირი იყო არმეელთა მარცხენა გარემარბი ფეტისოვი. ამ დაუღალავ და მაღალტექნიკურ ფორვარდს დინამოელებმა ვერაფერი მოუხერხეს. მისთვის მარცხენა ფლანგი შეტწილად თავისუფალ სამოქმედო დერეფანს წარმოადგენდა მაშინაც კი. როდესაც ძოძუაშვილს ხან კუტიავაძე ეხმარებოდა და ხან ჭელიძე.

შეხვედრის ბედი დამოკიდებული იყო დარჩენილ 45 წუთზე. უნდა ვაღიაროთ, რომ თბილისელები უკეთ მოაგვარებდნენ დაცვაში ურთიერთდახმარებას. უფრო აქტიური გახდებოდა შემტევი ხაზი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. 78-ე წუთზე ძოძუაშვილის ფეტისოვთან დავა ჯერ კუთხურით, შემდეგ კი კარის აღებით დამთავრდა. გოლის ავტორი პროსკურნინი იყო. უხეში შეცდომა დაუშვა ურუშაძემ.

დინამოელები დამარცხდნენ 1:2. და, ბოლოს ერთ დეტალზე, როგორც წესი მატჩის შემდეგ ოქმში მოთამაშეებს ნიშნებს უწერენ. ეს ნიშნები პირველად მახპინძლებს დაუწერეს — ყველას ხუთიანები, მხოლოდ ტრემბაჩსა და ზინჩენკოს — ოთხიანები. ამ დროს მსაჯთა ოთახში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი გ. კაჩალინი შემოვიდა, მახაც აინტერესებდა ეს ნიშნები, გადახედა თუ არა ოქმს ღიმილით თქვა, ფფიქრობ ზედმეტი გულუხვობაა. და დასძინა, ნახეთ თუ გვიან ჩოხელმა ორიანები არ ჩამოამწკრივოსო. და მართლაც, როდესაც ძოძუაშვილმაც დაამთავრა ეს პროცედურა, აი როგორ გამოიყურებოდა ეს ნიშნები — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციკავა — 2, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი — 3, კუტიავაძე — 2, ასათიანი, მეტრეველი — 3, გ. ნოდია, ლ. ნოდია — 2.

იყო თუ არა ეს ნიშნები დინამოელთა თამაშის ამსახველი? ვფიქრობთ, რომ სავსებით სამართლიანად.

დუბლიორთა მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

ვ. გაბელია,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ДОНСКОЙ РОСТОВ.

ცნობილმა იუგოსლავიელმა მიმომხილველმა დ. ბელიჩამ მოსკოვის ეურნალ „64-ის“ დავალებით რ. ფიშერს სთხოვა ინტერვიუ მიეცა მისთვის. გთავაზობთ ამ ინტერვიუს, რომელიც უიმედოდ ფრიად საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისათვის.

ბატონ ფიშერთან

მეგრიკმელი გროსმაისტერის ფიშერის ირგვლივ ყოველთვის ჟულეშმატკივრებისა და ჟურნალისტების დიდი ჯგუფია. მას უნდა გაიქცეს, მაგრამ ეს იოლი როდია. მატჩის 7 დღის განმავლობაში ფიშერმა სასტუმროში სამი ნომერი გამოიცვალა. მაგრამ მაინც ვერსად დაიმალა ჟურნალისტებს. ჩვეულებრივ მისი პასუხი ორისამი სიტყვისაგან შედგება: „დიახ, არა“... მაგრამ როდესაც მე მას ვთხოვე ინტერვიუ მოეცა სპეციალურად „64“-ის მკითხველთათვის, მან მამინვე მიპასუხა:

— მე ძალიან მოხარული ვარ ვიოპაპრაკო ამ გამოცემისათვის, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი, მაგრამ ახლა რატომღაც ვეღარ ვიღებ ლონე-ანერელობაში, ჭიკოხეთ რედაქტორ პეტროსიანს. როგორ შეიძლება „64“-ის გამოწერა.

ამის შემდეგ ორიოვენი პეტროსიანთან მივედით და გროსმაისტერებმა საუბარი დაიწყეს. რედაქტორმა თქვა: „თქვენ შეგიძლიათ „64“ ამერიკაში გამოიწეროთ და ყოველ კვირას მიიღებთ“. ფიშერმა ჯერ არც კი დაიჯერა, რომ ასე მალე შეიძლება ყოველკვირეულის მიღება, შემდეგ კი ერთბაშად ორი წლით მოისურვა მისი გამოწერა. პეტროსიანმა გაიღიმა და თქვა, უმჯობესია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლისას გამოიწეროთ. თავის მხრივ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფიშერს შეეკითხა: „რა იქნება, გაიყიდ შემოლეიმაზე რომ სომხეთში მოგიწვეოთ?“ „სიამოვნებით ვითამაშებ, — უპასუხა ფიშერმა — ოღონდ წინასწარ პირობები შემატყობინეთ. მე განსაკუთრებით მაინტერესებს საბურნირო დარბაზის განათების საკითხი და მონაწილეთა შემადგენლობა“

პეტროსიანმა და ფიშერმა მეგობრულ საუბარში გაატარეს კიდევ რამდენიმე ხანი. ამერიკელს, მაგალითად, მაინტერესებდა, თამაშობს თუ არა საბჭოთა გროსმაისტერი შაშს. ფიშერმა თქვა, რომ მას სწამს საჭადრაკო მანქანებისა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონებსაც კი დაამარცხებენ. როდის მოხდება ეს? ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იმუშაებენ მეცნიერები მანქანებთან.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი წავიდა, მე კი რობერტს ვკითხე, ელოდა თუ არა ბელგრადის მატჩში პეტროსიანთან გამარჯვებას.

— როდესაც ამერიკიდან ბელგრადში გამოსაფრენად ვემზადებოდი, ვიფიქრე, რომ პეტროსიანთან უფრო გამიძნელდებოდა თამაში, ვიდრე სპასკისთან. აქ კი ნათელი გახდა, რომ არც მე და არც პეტროსიანი არ ვიყავით საუკეთესო ფორმაში.

— ეს იგი, თქვენ უკმაყოფილო ხართ საკუთარი თამაშით?

— დიახ, გზამ ძალიან დამქანცა. ამაკე დროს ხელს მიშლიდა ჭადრაკისაგან წელიწადნახევრის მოწყვეტა. ჩემთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თამაში. ძალიან მინდა საჩონათა-შორისო ტურნირში გამოსვლა. რა თქმა უნდა, იქ მოხვედრა ძნელი იქნება, რადგან მე არ მიეთამაშნია აშშ-ის უკანასკნელ ჩემპიონატში.

— ვისთან გინდათ მატჩი ითამაშოთ?

— ვიცი, რომ უფლება არა მაქვს სპასკი მატჩში გამოვიწვიო. მაგრამ ამერიკის საჭადრაკო ფონდი აპირებს ასეთი შეხვედრის ჩატარებას. იგი დათანხმდა პრიზებისთვის გამოჰყოს 25 ათასი დოლარი — 15 გამარჯვებულს, 10 — დამარცხებულს. ეს მატჩი შეიძლებოდა მოსკოვშიც გვეთამაშა და ნიუ-იორკშიც. მე უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებდი 6 მოგებულ პარტიამდე. სპასკიც, როგორც გავიგე, წინააღმდეგ არ არის, მაგრამ ასეთ საკითხებს საჭადრაკო ფედერაცია წყვეტს. მე ასევე წინადადება მივეცი ლარსენს მატჩში შემხვედრა, იგი დამთანხმდა, მაგრამ თქვა, რომ წელს დრო არ იქნება.

— ვინ შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედად?

— საბჭოთა მოჭადრაკეებიდან უეჭველად — სპასკი, პეტროსიანი, კორჩნოი, გარდა ამისა, ფიშერი და ლარსენი.

— ყველაზე უკეთესი მოჭადრაკე?

— ფიშერი!!

— ვისა აქვს ხაუკეთესო მესაძლებლობა მომავალ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე შეხვედეს ხპასკის?

— კორჩნოისა და ლარსენს.

— საჭადრაკო სამყაროსათვის რომელი მატჩი იქნებოდა ყველაზე უფრო საინტერესო?

— ეტყობა, ლარსენ-ფიშერის მატჩი.

— ვინ. მოიგებდა?

— ვფიქრობ, მე.

— თქვენი აზრი. მსოფლიოს ჩემპიონზე?

— სპასკი ძალიან კარგი მოჭადრაკეა, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი ძალზე ხშირად ცდებოდა პეტროსიანთან მატჩში. მე მგონია იგი შიშით იქცეოდა პეტროვეს. მე საგანგებოდ გავარჩიე პეტროსიანსპასკის მატჩის ყველა პარტია, როდესაც ბელგრადში გამოსამგზავრებლად ვემზადებოდი.

— მაშინ რატომღა დაუთმეთ პირველი ადგილი ლარსენს?

— თუმცა მე ლარსენზე უკეთ ვთამაშობ, მაგრამ უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე არაფერ გამოვსულვარ. ამ ხნის განმავლობაში ლარსენმა დიდი წარმატებით ითამაშა და ამიტომ ჭკვიანი მორალური უფლება პირველ დაფაზე გამოსულიყო. ჩემთვის მოულოდნელი იყო ლარსენის სუსტი თამაში სპასკისთან მეორე პარტიაში.

— საერთოდ რას ფიქრობთ ბელგრადის მატჩზე?

— მის დაწყებამდე მე მეგონა, რომ საბჭოთა ნაკრები იოლად მოიგებდა. მატჩი მეტად საინტერესო იყო, მისი მოწყობის იდეა — ორიოდ ლამაზი. იმიტომ, რომ მან მსოფლიოს ყველა მოჭადრაკეს მოიყარა თავი. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი პირველი საჭადრაკო სახელმწიფოა და ასეთად ყოველ დიდებულ დარჩება. საბჭოთა კავშირი გროსმაისტერებს თავის თავზე მუშაობის საუკეთესო პირობები აქვთ. მე პროფესიონალი მოჭადრაკე ვარ, რომელმაც მთელი ჩემი შემოსავალი ტურნირებში უნდა ვეძებო. როდესაც არ ვთამაშობ, ფულსაც არ ვიღებ. მართალია, ახლა წიგნი გამოვეცი, „ჩემი 60 საუკეთესო პარტია“ და ბონორარი მივიღე. მე ძალიან ხშირად მამტყუნებენ, რომ ტურნირებში მონაწილეობისათვის სპეციალურ ბონორარს მოვითხოვ. ჩემი პასუხი ასეთია: ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჭადრაკი — ჩემი ცხოვრებაა! მე ჭადრაკის ხარკზე ვცხოვრობ.

— რა გიყვართ ჭადრაკს გარდა?

— მიყვარს მუსიკა, ტელევიზია. ადრე კოსტუმებს ვაკრავდი, ახლა კი ამის აღარ ვაკეთებ. მე არა მაქვს მანქანა. ახლა კი ბელგრადში უახლესი სერიის „მოსკვიჩი“ მივიღე. მაგრამ მე მეფიქრები მანქანებს.

— როგორია თქვენი უახლესი გეგმები?

— ბევრი მიწვეია მივიღე ვინმამშო იუგოსლავიის სხვადასხვა ტურნირებში: ზაგრებში, სკოპლეს და ვინაკოვცში. მინდოდა შენახა საერთაშორისო გამოფენა იაპონიაში და იქვე ერთი მატჩიც მეთამაშა.

— რამდენ დროს უთმობთ ჭადრაკს?

— როდესაც ტურნირისათვის ვემზადები — ბევრ დროს ვუთმობ, თუ არა და ვისვენებ.

მე ფიშერს დიდი წარმატებები და მისი ოცნების განხორციელება — საჩონათაშორისო ტურნირში თამაში ეფსურვე. მან მხოლოდ გაიღიმა და თქვა: „ვიმედოვნებ“...

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ჭადრაკი ჩემი ცხოვრებაა!

ინტერვიუ ფიშერთან

ბელგრადი

ბელგრადელ ოსტატთა ტურნირი

ბელგრადელ ოსტატთა ტურნირ

ბელგრადელ ოსტატ

ბელგ

ბ

ბ

ბ